

საქართველოს ახალგაზრდობის განვითარების ინდექსი 2025

ოთხი სფეროს შეფასება

მეთოდოლოგია და მიგნებები | 2025 |

საერთო ქულა: 41.8 / 100

პირველადი ქულა, რაც მიღებულია ოთხი სფეროს თანაბარი წონით გამოთვლის შედეგად





UG ახალგაზრდობისა და სოციალური კვლევის ცენტრი

ცენტრი იკვლევს სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ღირებულებებს, დამოკიდებულებებს, გამოცდილებებს და ხელს უწყობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის განვითარებას. დაფარვის არეალი: საქართველო

მონაცემების გამოყენებისას გთხოვთ, გამოიყენოთ ციტირების შემდეგი ფორმა:

APA სტილი: ახალგაზრდობისა და სოციალური კვლევის ცენტრი (YSRC). (2025). *საქართველოს ახალგაზრდობის განვითარების ინდექსი 2025*. ახალგაზრდობისა და სოციალური კვლევის ცენტრი (YSRC), საქართველოს უნივერსიტეტი. <https://isds.ge/youth-index-2025/>

რა არის საქართველოს ახალგაზრდობის განვითარების ინდექსი?

ეს არის გამჭვირვალე, კომპოზიტიური მაჩვენებელი, რომელიც ზომავს საქართველოში ახალგაზრდობის მდგომარეობას ცხოვრების ოთხ ძირითად სფეროში — გამოყენებულია საქსტატის, მსოფლიო ბანკის, CRRC-ის და სხვა ოფიციალური წყაროების საჯაროდ ხელმისაწვდომი, გადამოწმებული მონაცემები.

მეთოდოლოგიაში გამოყენებულია OECD–JRC კომპოზიტიური ინდიკატორების შემუშავების სახელმძღვანელო პრინციპები. ინდექსის შემუშავების პროცესში გამოყენებული თითოეული ნაბიჯი (მონაცემები, საბაზისო მაჩვენებლები, ფორმულები, წონები) საჯაროდ იქნება ხელმისაწვდომი, რათა ნებისმიერ მსურველს შეეძლოს მისი გადამოწმება.

⚠ შენიშვნა

ინდექსის საბოლოო ვერსიაში გათვალისწინებულია 6 დომენის გამოყენება. ამჟამად ინდიკატორების რეესტრში მხოლოდ 4 დომენის გამოთვლადი მონაცემებია. ამ ეტაპზე, დომენები შეფასებულია შეფასება თანაბარი წონის პრინციპით.

01 განათლება და უნარები

ქულა: 50.8 / 100

02 მეწარმეობა და დასაქმება

ქულა: 53.4 / 100

03 აქტიური მოქალაქეობა

ქულა: 20.7 / 100

04 მზაობა მომავლისთვის

ქულა: 42.1 / 100

საერთო: 41.8 / 100

როგორ შეიქმნა ინდექსი

1

შეგროვება

მონაცემების შეგროვება

გამოიყენება მხოლოდ საჯაროდ ხელმისაწვდომი, ოფიციალური წყაროები: საქსტატის LFS, OECD PISA, კავკასიის ბარომეტრი, მსოფლიო ბანკი, CRR, FES Youth Study და სხვა.

2

მიმართულება

მიმართულების განსაზღვრა

თითოეულ ინდიკატორს წინასწარ ენიჭება მიმართულება: მაღალი = უკეთესი (მაგ., დასაქმება) ან მაღალი = უარესი (მაგ., NEET). ეს განისაზღვრება გამოთვლამდე.

3

ნორმალიზაცია

0–100 სკალაზე გადაყვანა

პროცენტები, წლები და ინდექსის ქულები ერთიან 0–100 სკალაზე გადადის. მაღალი ქულა ყოველთვის უკეთეს მდგომარეობას ნიშნავს.

4

წონა

სფეროების წონების განსაზღვრა

დროებით: ოთხივე სფეროს წონა 25%-ია. თითოეულ სფეროში ინდიკატორები თანაბრად იწონება. არცერთი სფერო არ დომინირებს.

5

აგრეგირება

სფეროსა და საბოლოო ქულის გამოთვლა

სფეროს ქულა = მისი ინდიკატორების საშუალო ქულა. საერთო ქულა = 4 სფეროს საშუალო. $(50.8+53.4+20.7+42.1)/4 = 41.8$.

რას ნიშნავს ქულები

80 - 100 ძლიერი

აღწევს ან აჭარბებს ზედა შეფასების ნიშნულს

60 - 79 შედარებით ძლიერი

საჭიროა მონიტორინგი — გაუმჯობესების სივრცე კვლავ არსებობს

40 - 59 საშუალო — საჭიროა გაუმჯობესება

პირობები არსებობს, მაგრამ საკმარისი არ არის

0 - 39 დაბალი — პრიორიტეტული ყურადღება

მნიშვნელოვანი ხარვეზი; საჭიროა დაუყოვნებელი რეაგირებას

წესი 1


მაღალი ქულა ყოველთვის ნიშნავს უკეთეს პირობებს ახალგაზრდებისთვის.

წესი 2

100 ქულა სრულყოფილებას არ ნიშნავს — ეს ნიშნავს, რომ მიღწეულია ზედა ნიშნული.

შედეგები

საერთო ქულა: 41.8 / 100 (ოთხი სფეროს თანაბარი წონა — შუალედური შედეგები)



53.4 მეწარმეობა და დასაქმება

საშუალო

50.8 განათლება და უნარები

საშუალო

42.1 მზაობა მომავლისთვის

საშუალო

20.7 აქტიური მოქალაქეობა

▲ დაბალი — პრიორიტეტი

საერთო: 41.8 / 100

განათლება და უნარები

7 შეფასებული ინდიკატორი | თანაბარი წონა სფეროში | წყაროები: LFS 2024, OECD PISA 2022, მსოფლიო ბანკი, საქსტატი, CB 2024

ინდიკატორი	წელი შედეგი	ქულა	მიმართულება
ფორმალურ განათლებაში მონაწილეობა (15–24)	65.6% ფორმალურ განათლებაში	65.6	▲
სწავლის მინიმალური კომპეტენცია (PISA 2022)	მათემატიკა 34% / კითხვა 33% / მეცნიერება 35% — დონე 2+	34.0	▲
სწავლით კორექტირებული სწავლის საშუალო წლები	8.2 წელი (მსოფლიო ბანკი 2020)	58.6	▲
უმაღლესი განათლების მიღწევა (25–29)	40.5% ბაკალავრი/მაგისტრი/დოქტორი	40.5	▲
პროფ. განათლებაში მიღება — ახალგაზრდების წილი (15–29)	პროფ. განათლებაში მიღებულთა 60.7%, 2025	60.7	▲
სახელმწიფო ენის ცოდნა — ეთნიკური უმცირესობების ახალგაზრდები	ეთნიკური უმცირესობების ახალგაზრდების 32.58% (15–29)	32.6	▲
ინგლისური ენის ცოდნა (18–29)	63.4% საშუალო/მაღალი; 82.8% ნებისმიერი დონე	63.4	▲

☑ შედარებითი ძლიერი მხარეები

- ფორმალურ განათლებაში ჩართულია 15–24 წლის ახალგაზრდების 65.6%
- ინგლისურის ცოდნა (თვითშეფასება): 63.4% საშუალო ან მაღალ დონეზე
- პროფესიულ განათლებაში ჩართულთა 60.7% ახალგაზრდაა

⚠ ძირითადი სუსტი მხარეები

- დაახლოებით მხოლოდ ყოველი მესამე მოსწავლე ფლობს საბაზისო უნარებს მათემატიკაში, კითხვასა და მეცნიერებაში.
- ეთნიკური უმცირესობების ახალგაზრდების მხოლოდ 32.6% საუბრობს ქართულად — ეს ბარიერია განათლებისთვის, დასაქმებისა და სამოქალაქო ცხოვრებისთვის

მეწარმეობა და დასაქმება

11 შეფასებული ინდიკატორი | თანაბარი წონა სფეროში | წყაროები: საქსტატის LFS 2024, კავკასიის ბარომეტრი 2024

ინდიკატორი	ნელი შედეგი	ქულა	მიმ.
ახალგაზრდების დასაქმების დონე	35.6%	35.6	▲
სამუშაო ძალაში მონაწილეობის დონე	46.7%	46.7	▲
ახალგაზრდების უმუშევრობის დონე	23.8% → შებრუნებული	76.2	▼
ახალგაზრდების NEET მაჩვენებელი	24.1% → შებრუნებული	75.9	▼
სამუშაო ძალის არასრული გამოყენება	40.0% → შებრუნებული	60.0	▼
არაფორმალური დასაქმება (არა-სასოფლო)	28.6% → შებრუნებული	71.4	▼

ინდიკატორი	ნელი შედეგი	ქულა	მიმ.
წერილობითი კონტრაქტის დაფარვა (დაქირავებული ახალგაზრდები)	87.7%	87.7	▲
ეთნიკური უმცირესობების დასაქმების სხვაობა	სხვაობა: 14.7 პ.პ.	51.0	▼
ახალგაზრდების თვითდასაქმება (დასაქმებულში)	21.8%	21.8	▲
ახალგაზრდა დამსაქმებელი-მეწარმეების მაჩვენებელი	დასაქმებული ახალგაზრდების 2.2%	22.0	▲
არაფორმალურობა — თვითდასაქმებული ახალგაზრდები	60.6% → შებრუნებული	39.4	▼

▼ = უარყოფითი ინდიკატორი (მაღალი მაჩვენებელი = უარესი). ქულა = 100 – ნელი მაჩვენებელი. მაგალითი: 23.8% უმუშევრობა → ქულა 76.2.

რა ზრდის ქულას

შრომითი ხელშეკრულებების მაღალი მაჩვენებელი (87.7) და შემობრუნებული NEET/უმუშევრობის ინდიკატორები (+75) სფეროს საშუალო ქულას ზრდის. თუმცა ნელი მაჩვენებლები მნიშვნელოვან პრობლემებს აჩვენებს.

ძირითადი პრობლემები

დასაქმება: 35.6%. NEET: 24.1%. სამუშაო ძალის არასრული გამოყენება: 40%. დამსაქმებელი-მეწარმეები: მხოლოდ 2.2%. თვითდასაქმებულთა არაფორმალურობა: 60.6%.

აქტიური მოქალაქეობა

7 მეფასებული ინდიკატორი | თანაბარი წონა სფეროში | წყაროები: კავკასიის ბარომეტრი 2024, UG Gen Z Survey 2025

ინდიკატორი	წელი შედეგი	ქულა	მიმართულება
ინტერესი ეროვნული პოლიტიკის მიმართ (18–29)	49.1% ინტერესდება ეროვნული პოლიტიკით	49.1	▲
მიდა პოლიტიკური ეფექტიანობა (18–29)	16.3% თავს საკმარისად კომპეტენტურად გრძნობს	16.3	▲
გარე პოლიტიკური ეფექტიანობა — „ჩემი ხმა არ ისმის“	55.4% ეთანხმება, რომ მთავრობაში მათი ხმა არ ისმის (მებრუნებული)	44.6	▼
ციფრული სამოქალაქო მონაწილეობა	0.0428 0–1 სკალაზე; 10.7%-ს ჰქონდა ციფრული ქმედება	4.3	▲
კონტაქტი მთავრობის წარმომადგენლებთან (18–29)	2.8% დაუკავშირდა წარმომადგენელს ბოლო 12 თვეში	2.8	▲
მოხალისეობა / აუნაზღაურებელი საქმიანობა (18–28)	24.5% იყო მოხალისე ან აკეთებდა სასარგებლო საქმეს	24.5	▲
ჩართულობა საინიციატივო ჯგუფში/მოდერატორში	3.4% ჩართულია საინიციატივო ჯგუფში ან მოძრაობაში	3.4	▲

🔑 მონაცემები: ინფორმირებულობა ≠ გავლენა

ახალგაზრდების თითქმის ნახევარი პოლიტიკით ინტერესდება (49.1), მაგრამ მხოლოდ 16.3% თვლის რომ აქვს საკმარის ცოდნა; 2.8%-ს მიუმართავს მთავრობის წარმომადგენლისთვის, ხოლო 3.4% ჩართულია საინიციატივო ჯგუფებში. ეს აპათია არ არის — ეს სუსტი არხების, დაბალი ნდობისა და პრაქტიკული უნარების დეფიციტს აჩვენებს.

მზაობა მომავლისთვის

6 შეფასებული ინდიკატორი | თანაბარი წონა სვეროში | წყაროები: საქსტატის ICT, LFS 2024, CRR 2025, FES 2023, საქსტატის HE

ინდიკატორი	წელი მუდები	ქულა	მიმართულება
საბაზისოზე მაღალი ციფრული აქტივობები (15–29)	41.4%-მა შეასრულა 5+ საშუალოზე მაღალი ციფრული მოქმედება	41.4	▲
არაფორმალურ განათლებაში მონაწილეობა (15–29)	სულ 8.8%; დასაქმებულები: 9.73% / უმუშევარი: 1.41%	8.8	▲
ფაქტების გადამოწმების ქვევა (18–29)	31.8% ხშირად/ყოველთვის ამოწმებს; 26.7% არასდროს	31.8	▲
STEM/ICT მონაწილეობა უმაღლეს განათლებაში	სამ. 17.8% (მიღება 19.4%, ჩარიცხული 19.4%, კურსდამთავრებული 14.7%)	17.8	▲
კლიმატის კრიზისის აღიარება ახალგაზრდებში (14–29)	76% ამბობს, რომ კლიმატის ცვლილება გლობალური საგანგებო მდგომარეობაა	76.0	▲
კლიმატის პოლიტიკის გამკაცრების მხარდაჭერა (14–29)	77% მხარს უჭერს მთავრობის უფრო ძლიერ კლიმატურ ზომებს	77.0	▲

⚠ ინფორმირებულობა მოქმედების გარეშე

კლიმატის საკითხებზე ცნობიერება მაღალია (76–77%), მაგრამ პრაქტიკული უნარები სუსტია:

- არაფორმალურ სწავლაში მონაწილეობის მხოლოდ 8.8% (უმუშევრებში — 1.41%)
- ინფორმაციას რეგულარულად ამოწმებს მხოლოდ 31.8%
- STEM/ICT-ში მონაწილეობა: ჯამში 17.8%; მხოლოდ კომპიუტერული მიმართულებები — 6%
- STEM/ICT-ის ყველა ეტაპზე ქალები კაცებს დაახლოებით 11 პუნქტით ჩამორჩებიან

✅ შედარებითი ძლიერი მხარეები

- მწვანე გარდაქმნის პოლიტიკის მიმართ მაღალი სოციალური მხარდაჭერა (77%)
- საბაზისოზე მაღალ ციფრულ აქტივობებს აქვს გაზომვადი საწყისი მაჩვენებელი (41.4%)
- STEM/ICT მონაცემები მოიცავს მიღებას, ჩარიცხულებს და კურსდამთავრებულებს
- 41.4%-იანი ციფრული საწყისი მაჩვენებელი შემდგომი განვითარებისთვის საფუძველს ქმნის


მონაცვლადი ჯგუფები

საერთო ქულა ფარავს მნიშვნელოვან შიდა უთანასწორობებს. მნიშვნელოვანია ამ ხარვეზებზე ფოკუსირება.


STEM/ICT გენდერული სხვაობა (უმაღლესი განათლება)

მიღებასა და ჩარიცხვაში სხვაობა 11.2 პუნქტია; კურსდამთავრებულებში — 10.8 პუნქტი. სხვაობა ყველა ეტაპზე ჩანს. (წყარო: საქსტატი)

კაცები STEM/ICT-ში (მიღება და ჩარიცხვა)




ქალები STEM/ICT-ში (მიღება და ჩარიცხვა)




არაფორმალური სწავლა დასაქმების სტატუსის მიხედვით

ვისაც უნარების განახლება ყველაზე მეტად სჭირდება, მასზე ხელმისაწვდომობა ყველაზე ნაკლები აქვს — ეს უთანასწორობას აძლიერებს. (წყარო: საქსტატი)

დასაქმებული ახალგაზრდები არაფორმალურ განათლებაში



უმუშევარი ახალგაზრდები არაფორმალურ განათლებაში



რას ნიშნავს ეს მაჩვენებლები პრაქტიკაში?

სფეროები ერთმანეთისგან განცალკევებით არ არსებობს — ისინი ერთმანეთს აძლიერებს.

სუსტი სწავლა → სუსტი დასაქმება → სუსტი სამოქალაქო გავლენა

PISA-ს დაბალი ქულები (34/100) მომავალ დასაქმებას ზღუდავს. დაბალი დასაქმება ამცირებს დროსა და კავშირებს სამოქალაქო მოქმედებისთვის. სუსტი სამოქალაქო გავლენა კი ამცირებს ახალგაზრდების შესაძლებლობას, იმ პოლიტიკებზე იმოქმედონ, რომლებიც მათ დასახმარებლად იქმნება.

არაფორმალური თვითდასაქმება ≠ მეწარმეობა

დასაქმებული ახალგაზრდების 22% თვითდასაქმებულია, მაგრამ მათგან 61% არაფორმალურად მუშაობს. მხოლოდ 2% არის დამსაქმებელი-მეწარმე, რომელიც სხვებისთვის სამუშაო ადგილებს ქმნის.

სუსტი სამოქალაქო გავლენა აპათია არ არის

ახალგაზრდების 49% პოლიტიკით ინტერესდება, მაგრამ 55% ფიქრობს, რომ მათი ხმა არ ისმის, ხოლო მხოლოდ 3%-ს მიუმართავს მთავრობის წარმომადგენლისთვის. პრობლემა მოტივაციის ნაკლებობა კი არა, რეალური და ხელმისაწვდომი მონაწილეობის არსების დეფიციტია.

მხოლოდ ცნობიერება მზაობას არ ნიშნავს

ახალგაზრდების 76% აღიარებს კლიმატის კრიზისს და 77% მხარს უჭერს კლიმატის პოლიტიკას. არაფორმალურ სწავლებაზე წვდომა მხოლოდ 9%-ს აქვს, ხოლო STEM/ICT კურსდამთავრებულთა მაჩვენებელი 15%-ია.

შეზღუდვები და შემდეგი ნაბიჯები

⚠ მხოლოდ ოთხი სფერო

სრული ჩარჩო ექვს სფეროს მოიცავს (ჯანმრთელობა და კეთილდღეობა). ასევე შესაფასებელია ეროვნული ეკოსისტემა. 41.8 ქულა დროებითია.

⚠ დროებითი თანაბარი წონები

სფეროების წონების ცხრილი ჯერჯერობით არასრულია. თითო სფეროზე 25%-იანი თანაბარი წონა გამჭვირვალე, მაგრამ დროებითი დაშვებაა.

⚠ მხოლოდ აღწერითი ანალიზი — არა მიზეზობრივი მტკიცება

ინდექსი აჩვენებს რა ხდება და სად, მაგრამ არა რატომ ან რამ გამოიწვია ეს. ინდექსი დიაგნოსტიკური ინსტრუმენტია და არა პროგრამის შეფასება.

რა ხდება შემდეგ?

დასრულდება 6-სფეროიანი ჩარჩო → დაზუსტდება ნიშნულები და წყაროების ბმულები → გამოქვეყნდება სრული ქულების რეესტრი → იქნება ყოველწლიური განახლება

საქართველოს ახალგაზრდობის განვითარების ინდექსი 2025

არის ანგარიშვალდებულების, დაგეგმვისა და მოქმედების
ინსტრუმენტი.

პირველადი ქულები (4 სფერო, თანაბარი წონა):

53.4

მეწარმეობა და დასაქმება

50.8

განათლება და უნარები

42.1

მზაობა მომავლისთვის

20.7

აქტიური მოქალაქეობა

საერთო: 41.8 / 100

მონაცემების გამოყენებისას გთხოვთ, გამოიყენოთ ციტირების შემდეგი ფორმა:

APA სტილი: ახალგაზრდობისა და სოციალური კვლევის ცენტრი (YSRC). (2025). საქართველოს ახალგაზრდობის განვითარების ინდექსი 2025. ახალგაზრდობისა და სოციალური კვლევის ცენტრი (YSRC), საქართველოს უნივერსიტეტი. <https://isds.ge/youth-index-2025/>